დინამოელებმა კარგი თამაში აჩვენეს

17 აპრილს თბილისის “დინამოს” სტადიონზე გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე “ა” კლასში. თამაშობდნენ ლენინგრადის “შრომითი რეზერვები” (ფარიკინი, ნელეზინი, შიშკოვი, ვარნაკოვი, გოროხოვი, პონომარიოვი, სოჩნევი, კოლობოვი, გავრილინი, ტენიაგინი, ცვეტკოვი) და თბილისის “დინამო” (მარღანია, ელოშვილი, ძიაპშპა, რუსაძე, მახარაძე, ხოჭოლავა, კოტრიკაძე, კ. გაგნიძე, კალოევი, ღოღობერიძე, იამანიძე). მატჩს სჯიდა საკავშირო კატეგორიის მსაჯი ვ. არხიპოვი (მოსკოვი).

თამაში დაიწყეს დინამოელებმა და უკვე მესამე წუთზე ძიაპშპამ შორი, ზუსტი გადაცემით მარცხენა ფრთაზე გაიყვანა კალოევი, რომელმაც ძნელი მდგომარეობიდან მოტრიალებით დაარტყა კარში. ფარიკინმა ძლივს გამოიყვანა ბურთი პირით ხაზს იქით. რამდენიმე წუთის შემდეგ გაგნიძე სწრაფად შეიჭრა სტუმრების საჯარიმო მოედანზე, გასცდა მცველებს, მეკარესაც, მაგრამ ათიოდე მეტრიდან ააცილა კარს.

მატჩის დასაწყისში ორივე გუნდი ფრთხილობდა, თუმცა ტემპი მეტად მაღალი იყო. თბილისელთა საკმაოდ ხანგრძლივი შეტევის შემდეგ, ლენინგრადელებმა დაცვის ზონიდან მოულოდნელად გაგზავნეს ბურთი მარცხენა ფრთაზე, სადაც იგი მიიღო ცვეტკოვმა, წამსვე გავიდა ორ მცველს შორის და ახლო მანძილიდან ძლიერად დაარტყა კარში. მარღანიამ შესანიშნავი ნახტომით აიღო ძნელი ბურთი.

მე–12 წუთზე ღოღობერიძესთან ბრძოლაში შიშკოვი ვერ მისწვდა მაღალ ბურთს და ხელით ითამაშა. სანამ ლენინგრადელთა მცველები მოასწრებდნენ კედლის აღმართვას, კალოევმა არ დააყოვნა და შორი მანძილიდან ძლიერად, ზუსტად გაგზავნა ბურთი კარში. ანგარიში გაიხსნა.

პირველ გოლს არსებითი გარდატეხა თამაშში არ შეუტანია. დინამოელებს კვლავ ხელთ ჰქონდათ ინიციატივა, თავდამსხმელები მოედნის მთელ სიგანეზე იყვნენ გაშლილი, სწრაფად და შეუჩერებლად მოძრაობდნენ. ზუსტი გადაცემებით იოლად გადიოდნენ მოედნის შუაში. შეტევის დამამთავრებელ ფაზაში ფლანგიდან მაღალი გადაცემები მოდიოდა საჯარიმო მოედნის ცენტრში, სადაც კალოევი წარმატებით ასრულებდა თავის ყველა ფუნქციას – როგორც ჰაერში, მაღალი, ისე მიწაზე დაბალი ბურთებისათვის ბრძოლაში. ყურადღებით, ენერგიულად თამაშობდა დაცვა, სადაც გამოირჩეოდა ძიაპშპა. დიდი ხანია მაყურებლებს არ უნახავთ იგი მოედანზე და თავისი პირველი დებიუტი ოფიციალურ მატჩში მან შესანიშნავად ჩაატარა. იგი შეუცდომლად ირჩევს ადგილს ურთულეს სიტუაციებში, მოფიქრებულად მოქმედებს ურთიერთდაზღვევისას და ზუსტი მისამართით იგერიებს ბურთებს. საერთო ანსამბლს რამდენადმე არღვევდა ნახევარდაცვა, რომელმაც ვერ შეძლო სტაბილური კავშირის დამყარება თავდასხმასთან.

“შრომითი რეზერვების” გუნდს ჰყავს მეტად მოძრავი და სწრაფი, შრომისუნარიანი, დაუღალავი თავდასხმა. სწრაფმავალი გარემარბები ყოველთვის სახიფათონი არიან კარისათვის. თავდამსხმელთა შორის შედარებით სუსტი იყო გავრილინი.

მე-15-25 წუთებზე სტუმრების კარი რამდენჯერმე თითქმის გამოუვალი ხიფათის წინაშე იყო, მაგრამ ნელეზინმა და ვარნაკოვმა უკანასკნელ მომენტში იხსნეს გუნდი გოლისაგან. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრების თავდასხმას არ ჰყავდა აქტიური ზურგი ნახევარდაცვაში, სოჩნევი, კოლობოვი და ტენიაგინი ეპიზოდურად, მაგრამ მეტად სახიფათოდ გადიოდნენ გარღვევაზე.

ამ ანგარიშით – 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ გუნდები წავიდნენ შესვენებაზე. მეორე ტაიმი კვლავ “დინამოს” იერიშებით დაიწყო. 50–ე წუთზე ღოღობერიძე შესანიშნავი დრიბლინგით გავიდა მარცხენა ფრთაზე. პირით ხაზთან მან მოატყუა გოროხოვი, შიშკოვი, მეკარე და უკან გადასცა გაგნიძეს, რომელმაც მეორე ბურთი გაიტანა.

სამი წუთის შემდეგ ბურთმა ლენინგრადელთა კარის წინ იმოგზაურა მარცხენა ფლანგიდან მარჯვენაზე და უკან. აქ მას დაეუფლა კალოევი და მისი ძლიერი დარტყმის შემდეგ ანგარიში გახდა 3:0.

შესვენების შემდეგ გაცილებით ძლიერად და გეგმიანად თამაშობდნენ “დინამოს” ნახევარმცველები, რის შედეგად გუნდის საერთო უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა შეიქნა. მალე თბილისელთა კომბინაცია გაგნიძე–კალოევი–ღოღობერიძე დამთავრდა ამ უკანასკნელის დაბალი დარტყმით. ბურთმა შეუფერხებლად გაიარა მცველთა და მეკარის ფეხებს შორის და გავიდა კარში – 4:0.

ამ ანგარიშის შემდეგ მანამდე ტემპიანი, ცოცხალი თამაში შესამჩნევად ჩაქრა, ლენინგრადელები თითქოს შეურიგდნენ დამარცხებას, მაგრამ დინამოელებმა ნაადრევად მოადუნეს ყურადღება დაცვაში და შედეგმაც არ დააყოვნა – ცვეტკოვმა შეუმჩნევლად გადაინაცვლა ცენტრში, მოულოდნელად გავიდა წინ ბურთიანად და გაქვითა ერთ გოლი.

შემდგომში სტუმართა კართან რეალური საფრთხე შექმნეს ღოღობერიძემ, კალოევმა, იამანიძემ, მაგრამ ანგარიში 4:1 თბილისის “დინამოს” სასარგებლოდ არ შეცვლილა.

ბ. ქორქია.

“ლელო”, 20 აპრილი, 1955 წ.